საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახეთის ქედი

კახეთის ქედი, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი განშტოება, მდინარეების ილტოსა და ივრის წყალგამყოფი. 40 კმ სიგრძის მერიდიანული მიმართულების ქედი დიდი ბორბალოდან შახვეტილის მთამდე. ებმის გომბორის ქედს. გამოეყოფა ქართლის ქედს 3279 მ სიმაღლის უსახელო მწვერვალით და მდ. ივრით. კ. ქ. აგებულია მეზოზოური ასაკის ტერიგენული წყებით. ქედის თხემზე აღმართულია მთები: ლაღის მთა, გარეჯა, მუხათი, დამასტი, დიდი ველევი. კ. ქ-ის უღელტეხილზე გადადის თიანეთ–ახმეტის გზა. ქედის კალთების ქვემო ნაწილი შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით, ზემო – სუბალპ. და ალპ. ბალახეულით.

ლ. მარუაშვილი